



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 14 იანვარი, 2015 წელი

დრო: 14:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
3. ირინა ფუტყარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი , საზოგადოებრივი დამცველი
4. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. ნინო ჩხოზაძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები - საქართველო
6. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
7. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი";
8. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
9. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

განსახილველი საკითხები:

- ❖ საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები
- ❖ წესდების განხილვა
- ❖ სხვა

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ გახსნა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ წესდების ჩარჩო დოკუმენტი საერთო კრებამდე ორი კვირით ადრე დაიგზავნება პლატფორმის საერთო ჯგუფში და წევრ ორგანიზაციებს საშუალება ექნებათ გამოაგზავნონ თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები.

პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა წესდებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. მან მიმართა საბჭოს წევრებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გაიზარდოს რეგიონალური ორგანიზაციების როლი და ფუნქცია და მოხდეს მათი ხელშეწყობა რესურსების მოზიდვის მიმართულებით, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ სხვადასხვა საქმიანობის წარმართვა.

თავმჯდომარემ ისაუბრა, რომ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის სათანადოდ ინტეგრირებული და არ არსებობს ერთიანი ხედვა სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. მან ასევე წამოაყენა ინიციატივა, რომ გააქტიურდეს პლატფორმის თემატური ჯგუფების ფარგლებში ჩამოყალიბებული ქვეჯგუფები და მათ შორის იყოს აქტიური თანამშრომლობა.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები, ასევე იმსჯელეს ასოცირების ხელშეკრულების 412 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (ქართულ-ევროპული პლატფორმა) და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის ფორმირების საკითხებზე.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია